სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/113

ქ. თბილისი

4 აგვისტო 2022 წ.

„სტუ-ში სტუდენტების სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის №01-05-04/253 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-21 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს 2022 წლის 04 აგვისტოს №01-05-04/24 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეტანილი იქნეს ცვლილება „სტუ-ში სტუდენტების სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის #01-05-04/253 დადგენილებაში და დადგენილების მე-3. პუნქტის ა.ა) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ა) ქართულენოვან პროგრამაზე - 4000 ლარი;“.

2. დადგენილება ძალაშია 2021/2022 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან ჩარიცხული (მათ შორის მობილობის წესით ჩარიცხული) სტუდენტებისათვის, ხოლო 2022/2023 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან - სტატუსაღდგენილი სტუდენტებისათვის.

3. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი ი. კუტუბიძე